ලෙල්ලියාව

რობერტ მუზილი

სამი ქალი

დიდ ვენეს
ბიბლიოთეკა

რობერტ მუზილი
სამი ქალი

Julian Barnes
THE NOISE OF TIME

გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ

მხატვარი: კოტე სულაბერიძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2004, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-884-5
www.diogene.ge

სარჩევი

გრიჟია 7
პორტუგალიელი ქალი 35
ტონკა 65

ბოლოსიტყვა – რობერტ მუზილი: სამი ქალი (*დ. დავლიანიძე*) 121

გრიპპია

ცხოვრებაში ისეთი ჟამიც დგება, როცა დრო ფეხს აითრევს, თითქოს რაღაცას ერიდებოდეს ან სხვა გზით აპირებდეს წასვლას. ასეთ დროს ადამიანი ხიფათსაც იოლად გადაეყრება.

ერთი სნეული ვაჟი ჰყავდა ჰომოს. წელიწადი ისე გაილია, ბიჭმა არც აქეთ ქნა პირი, არც იქით. უქიმი ურჩევდა, სამკურნალოდ წაიყვანეთო, და ჰომოსაც ვერ გადაეწყვიტა, თან გაჰყოლოდა თუ არა. ფიქრობდა, ქალაქს მოცილებული, ვაითუ ყველაფერს მოვწყდეო, წიგნებს, საქმეს, ცხოვრებას. ამ ჭოჭმანს თვითონ თავკერძობას აბრალებდა, თუმცა, ვინ იცის, იქნება სულაც თავის თავთან მარტო დარჩენისა ეშინოდა. აქამდე ხომ ერთი დღითაც არ მიუტოვებია ცოლი. ქალი უწინაც ძალიან უყვარდა, უყვარდა ახლაც, მაგრამ რაც ბავშვი დაიბადა, სიყვარულს ბზარი გაუჩნდა თითქოს. იმ ქვას დაემსგავსა, წყალი რომ ჩაუდგება და ერთ მშვენიერ დღეს რომ გაიშლება კიდეც. ძალზე უკვირდა ბზარის გაჩენა, უკვირდა მით უფრო, რომ ამ თავისი სიყვარულისათვის თითქოსდა არასოდეს მოუკლია ზრუნვა. ჰოდა, ვიდრე ცოლ-შვილს გასამგზავრებლად ამზადებდა, ვერაფრით მოიფიქრა, სად გაეტარებინა კარს მომდგარი ზაფხული. არც მთისკენ მიუწევდა გული, არც ზღვისკენ, ბოლოს ქალაქში დარჩა. მეორე დღეს კი წერილი მიიღო. მოცარტ ამადეო ჰოფინგოტი ამ ერთი წლის წინ მოგზაურობის დროს გაიცნო და დაიმეგობრა კიდეც. ფერზენატალში ეპატიჟებოდა ჰომოს, ექსპედიციას ვაწყობთ, ვენეციური ოქროს ძველისძველი საბადოები მეგულება და ხომ არ წამომყვებიო.

წუთითაც არ შეეჭვებულა, ნაღდი საქმე რომ იქნებოდა, და დეპეშები აფრინა: ერთი მეუღლეს გაუგზავნა – მთაში მივდივარ, დაწვრილებით მოგვიანებით მოგწერო, მეორე – ჰოფინგოტს; ამას თანხმობა შეუთვალა, გეოლოგად ვიმუშავებ, შეიძლება წილშიაც შემოვიდეო.

ჰოფინგოტს პ-ში შეხვდა, ერთ მდიდარ იტალიურ დაბა-ქალაქში, სადაც თუთასა და ვენახს აშენებენ. მისი ხნისა თუ იქნებოდა ჰოფინგოტი, ძალზე მოუსვენარი, ტანსრული და სანდომიანი შავგვრემანი კაცი; ექსპედიციას თურმე ამერიკელები აფინანსებდნენ. ეს ამბავი აქ შეიტყო ჰომომ. საქმეს კარგი პირი უჩანდა. მაგრამ ექსპედიციას მომზადება უნდოდა და ჰომოსა და ჰოფინგოტის გარდა კიდევ სამი კაცი, ვისაც წილი ედო საქმეში, ხეობას აუყვა. იყიდეს ცხენები, სამუშაო იარაღი, დაიქირავეს მუშახელი.

სასტუმროში გაჩერებას ჰოფინგოტის ერთ იტალიელ ნაცნობთან არჩია დაბინავება. მისვლისთანავე შეამჩნია გრილი და ფაფუკი ლოგინები, წითელი ხის საწოლებზე რომ ეგო; შეამჩნია უცნაური ხვიარებით მოხატული შპალერიც, ერთი შეხედვით უგემოვნო, თუმცა მაინც თავისებური და უცხო, ნახა ლერწმის სარწეველაც; თუკი ამ სარწეველაში ჩაწვები, დაარწევ და თან შპალერს მიაშტერებ თვალს, ასე მოგეჩვენება, ბარდებში გავეხვიეო; თავდაპირველად ხვიარებს ვერც შეამჩნევდი, უცებ ამოიზრდებოდნენ კედლიდან, მერე ისევ ჩაიძირებოდნენ სადღაც.

გარეთ ისეთი ჰაერი დაგხვდებოდა, იფიქრებდი, თოვლი და სამხრეთი ერთმანეთში აითქვიფაო. შუა მაისი იდგა. საღამოობით დიდ რკალნათურებს ანთებდნენ. მაღლა, სახლებს შორის გაბმულ მავთულებზე ეკიდა ნათურები, ეკიდა ისე მაღლა, რომ ქუჩები უფსკრულის დარად მუქ სილურჯეში გეგონებოდა გახვეული. იმ ჩაბნელებულ ფსკერზე ადამიანი გაივლიდი კიდეც, ზემოთ კი, სადღაც სხვა სივრცეში, სისინებდნენ და ბრიალებდნენ თეთრი მზეები. აქედან მთელი დღის სავალზე ვენახისა და ტყის მეტს თვალს ვერაფერს შეავლებდი. ხან წითელი, ხანაც ყვითელი, ან მწვანე ფერი

იტყუებდა მზერას: აქაური ტყე-ტევრი ხომ ერთ ღერ ფოთოლსაც არ შეელეოდა. ნაზამთრალი თუ ნორჩი ფოთლები საფლავზე დატოვებული გვირგვინივით იყო ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართული. თუმცა მაინც შეამჩნევდი წითელ, ცისფერსა და ვარდისფერ სახლებს, კამათლებივით რომ გაბნეულიყვნენ ტევრში და სიმეტრიის თავისებურ, ახალ კანონებს ამკვიდრებდნენ სამყაროში. ზევით და ზევით მუქდებოდა ტყე და მთას ზელვოტი ერქვა. კიდევ უფრო ზევით ალპური ველები იწყებოდა. თოვლის ზვირთები მეზობელ მთებამდე მიაცილებდა დაბალ, ციცაბო ფერდობს. აქ უნდა გაევლო ექსპედიციას. როცა აქაურები რძეს ჩამოიტანდნენ ბარში ანდა სიმინდის საყიდლად ჩამოვიდოდნენ, ზოგჯერ თითის სიმსხო მთის ბროლს ან სულაც ამეთვისტოს თვალს წამოიძღვანებდნენ ხოლმე. ნაპრალებში ისე ციმციმებდა თვლები, გეგონებოდა ყვავილები ღადღადებენო მინდვრად: ნახავდი თუ არა ამ საოცრად ზღაპრულ ადგილებს, უმალ იმას იფიქრებდი, ვარსკვლავებით მოოჭვილი ეს შორით ნათება, ეს უკარება ციალი – საფარველიაო მხოლოდ. ამის მიღმა კი სევდანარევი ლტოლვა არისო გატრუნული. როცა ხეობას ზევით აუყვნენ, ექვსი საათისათვის სანკტ-ორზოლას გაუსწორდნენ და ის იყო ლანქერზე გადადგმულ ქვის პატარა ხიდს მოაღწიეს, იქვე, ბუჩქებთან, უცებ ბულბულთა მთელმა გუნდმა იწყო გალობა. ნათელი დღე იდგა.

მართლაც რომ უცნაური ეთქმოდა იმ ადგილს; მთის კალთებზე ეკიდა თითქოს; ბილიკი, აქ რომ ამოიყვანა ისინი, ხტუნვა-ხტუნვით არბოდა ლოდიდან ლოდთან, ამ ბილიკიდან კი ბარისკენ ნაკადულებად ეშვებოდა ორიოდე მოკლე, ციცაბო საცალფეხო. თუკი გზიდან ქვევით ჩაიხედავდი, ჩვეულებრივი გლეხური ხუხულების შემყურეს არც არაფერი გაგიკვირდებოდა, მაგრამ მდელოდან რომ აგეხედა, ასე იფიქრებდი, ადამჟამინდელ სოფელს მივადექიო. ქოხები მაღალ ბოძებზე იყო შედგმული. ცოტა მოშორებით, ფერდობის პირას, თლილ და მოგრძო ბოძებზე შეყუნცული ჩეჩმები ტახტრევნიანი გონდოლებივით ქანაობდნენ. შემოგარენიც უჩვეულო იყო. ირ-

გვლივ ნახევარრკალად შემოვლებოდა მაღალი მთები. ფრიალო კლდეებით დახერგილი თხემი ციცაბო კალთად ეშვებოდა დაბლა; კალთაზე კი მიკარგული კუნძულივით ჩანდა პატარა ტყე და ის ადგილიც მიტოვებულ სამყაროს წააგავდა. ნაკადულს ისეთი ღრმა კალაპოტი გაეჭრა, შუაზე გაპობილს ჰგავდა კუნძული. ნაპრალის ერთი კიდე თითქოსდა მეორეს მიყრდნობოდა და იმასთან ერთად ჩაჰკიდებოდა ხეობის გაღმა მხარეს, სადაც სოფელი იყო შეფენილი. ჯაგნარს თოვლი ეფარა ჯერ, აქა-იქ თითო-ოროლა შველსაც მოჰკრავდი თვალს. შუაგულ ტყეში, კენწეროებზე როჭოს დაეწყო ტიხტიხი. მდელოზე კი რა ხანია მოყვითალო, ლურჯი და თეთრი ვარსკვლავებივით ციმიცმებდნენ ყვავილები. იმოდენა იყო ეს ვარსკვლავები, იფიქრებდი, ველზე უთვალავი ვერცხლის ფული გადმოაპნიესო. სოფლის უკან, ასიოდე ნაბიჯს რომ აივლიდი, საცალფეხო ბილიკი პლატოზე აგიყვანდა. დიდი არ ეთქმოდა იმ ადგილს, მაგრამ სახნავ-სათესსაც იტევდა, მდელოსაც, თივის ზვინებსაც და აქა-იქ ჩადგმულ სახლებსაც. პლატოს პირზე უძლეველ სიმაგრედ იდგა პაწია ეკლესია. მზიან დღეს ეს ადგილი დაბლობიდანაც ჩანდა, თუმცა ზღვას ან მდინარის შესართავს უფრო მიამგვანებდი, თან იმის გარჩევაც გაგიჭირდებოდა, რომელი იყო ოქროსფერი ჰორიზონტი და რომელი – ღრუბლის ჩალამული ქულები.

იმათმა ლამაზმა ცხოვრებამაც აქ ჩაიდგა სული. მთელი დღე აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ. ხან ჩამოშლილ გვირაბს ათვალიერებდნენ, ხან დაბლობისაკენ ჩაცურებულ ბილიკს გადახედავდნენ: ამ ადგილზე უნდა გაეყვანათ ფართო შარაგზა. გუნებანაქცევი ზეცა სავსე იყო გაზაფხულის მოლოდინით და მინაზებული ჰაერიც ისეთი იყო, გაგაბრუებდა კაცს. ხარჯს არავინ ერიდებოდა. ღმერთებივით ცხოვრობდნენ. სამუშაო ყველას გამოუნახეს – კაცს, ქალს; კაცები ერთი-ორი კვირით მთებში დაგზავნეს, ქალებს სურსათისა და სამუშაო იარაღების ზიდვა დაავალეს და ისინიც მიჰყვებოდნენ ხოლმე უსასრულო ბილიკებს. სკოლის შენობა საწყობად აქციეს. აქ ინახავდნენ ყველაფერს. დროდადრო საწყობში მამაკაცის მჭახე

ხმას გაიგონებდი; მოლაქლაქე დედაკაცების ჯგუფიდან ჯერ ერთს გამოიძახებდა, მერე მეორეს და უზარმაზარ, ზურგზე მოგდებულ კალათში მანამდე უყრიდა და უყრიდა ნაირ-ნაირ ხორაგს, ვიდრე ქალს ფეხები არ მოეკეცებოდა და კისრის ძარღვები არ დაებერებოდა. არც თვალტანად გოგოებს აკლებდნენ ტვირთს. იმათაც იმდენ სათრევს აჰკიდებდნენ, რომ თვალები შუბლზე აუდიოდათ და პირიც ღია რჩებოდათ. დატვირთავდა თუ არა, ნიშანს მისცემდა და ეს თვინიერი ცხოველები დაკლაკნილ ბილიკს გაუდგებოდნენ. ძვირფასი, იშვიათი ტვირთი ებარათ: პური, ხორცი, ღვინო. ამ ტვირთთან ერთად სამუშაო იარაღებსაც ატანდნენ. არავინ აფრთხილებდა, ხელსაწყოები არ გაგიფუჭდეთო, და ქალები ამ ტვირთსაც სიამოვნებით აიკიდებდნენ ხოლმე: ჯამაგირის გარდა შეიძლება იარაღიც ეხეირათ და აბა რომელი ერთი დაიშურებდა ამ უცხო ხალხისათვის მადლობის სიტყვას, როცა მარტო იმათი გამოჩენითაც კი დაილოცა აქაურობა. მერედა, რა მშვენიერი გრძნობა გაგიჩნდებოდა ადამიანს: კაციშვილი არ გკითხავდა, ვინ ხარ, სადაური. არავინ იძიებდა, სანდო იყავი თუ არა, კეთილი თუ ბოროტი. არც შენს სილამაზეს დაეძებდა ვინმე. ვინც არ უნდა ყოფილიყავი, შენს წილ სიყვარულს მაინც მიაგნებდი, მიაგნებდი თუნდაც იმიტომ, რომ ამ მიწას შენ მოეც წყალობა. სიყვარული მეგზურივით წინ მიგიძღვებოდა გზაზე და სადაც არ უნდა დაგევანა, ქათქათა ლოგინივით დაგიხვდებოდა ყველგან. აქაურებს ისეთი სალმიანი ჰქონდათ მზერა, უკეთესს ვერც ინატრებდი. ქალებს უმალ თვალებში დაატყობდი ამას, თუმცა ხდებოდა სხვაც: ჩაივლიდი შენთვის მდელოზე, ვინმე ხნიერი გლეხი კი ისე მოგიღერებდა ცელს, იფიქრებდი, ხორცშესხმული სიკვდილი დავლანდეო.

ხალხიც იშვიათი ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ტრენტოს ეპისკოპოსი გამგებლობდა ამ შემოგარენში, როცა გერმანიიდან მოსულან, დასახლებულან და მას მერე იმათი მოდგმა ისე ჩაბუდებულა, ისე ჩამჯდარა აქ, აი, იტალიურ მიწაზე ძველთაძველი გერმანული ლოდი რომ ჩააგდო. ადათ-წესებიდან ნახევარი თუ შემორჩათ, თუმცა

რიგიანად ესეც აღარ ახსოვდათ. გაიზაფხულებდა თუ არა, მთით მოვარდნილი ღელე აცლიდათ და აცლიდათ ფეხქვეშ მიწას. აქეთ ისეთ სახლებსაც ნახავდი, ადრე ბორცვზე რომ იყო წამოსკუპებული, ახლა კი ხრამის პირზე იდგა. ასე იყო წლიდან წლამდე. თავის ნებაზე იყო ყოველივე მიშვებული. დროის დინებას კი მოჰქონდა და მოჰქონდა ათასნაირი ხარახურა: სანდალოზგადასმული, უბრალო კარადები ედგათ შინ, კედლებზე საფოსტო ბარათები და იაფფასიანი სურათები ეკიდა, მაგრამ სადმე ოჯახში შეიძლება ისეთ ჯამ-ჭურჭელსაც წასწყდომოდი, მარტინ ლუთერის დროს რომ გამოჰქონდათ სტუმართან. პროტესტანტები იყვნენ: მართალია, რწმენის მეტი არაფერი გააჩნდათ (რომ არ გადაგვარდნენ, ამასაც უმადლოდნენ), მაგრამ დიდად ქველი ქრისტიანები მაინც არ ეთქმოდათ. რაკი ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ყველა მამაკაცი, მოეკიდებოდა თუ არა ოჯახს და თაფლობის თვეც რომ გაილეოდა, მიატოვებდა სახლ-კარს და ვინ იცის, სად გადაიკარგებოდა. თუკი დაბრუნება ეწერა, იმ ნაშოვნი გროშების გარდა ნაირ-ნაირ საროსკიპოში ნასწავლ უზნეო ჩვევებსაც ჩამოიტანდა, ურწმუნოებასაც დაიჩემებდა, მაგრამ ცივილიზაციის მადლი არა და არ მოეცხებოდა.

კარგა ხანს შეიქცია ერთმა ამბავმა, ჩამოსვლისთანავე რომ უთხრეს ჰომოს; არც ისე ძველი ამბავი იყო, თხუთმეტიოდე წელი იქნებოდა მას აქეთ. ერთ გლეხს თურმე, სხვებისა არ იყოს, მიუტოვებია სახლ-კარი და ამერიკაში წასულა; როცა დაბრუნდა, ცოლისათვის მიუკითხავს და ერთხანს სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. უხაროდათ, ბოლოს მანიც გვეღირსაო ერთად ყოფნა, და არც არაფერი მოუკლიათ, ვიდრე ქალის დანაზოგს წირვა არ გამოუყვანეს. ამერიკიდან კი უნდა მოსვლოდათ ფული, მაგრამ არადა არ დაადგა საშველი იმ ფულის გამოგზავნას. გლეხიც ამდგარა, ის თავის გატიალებული კარ-მიდამო ცოლისათვის მიუბარებია, თვითონ კი ლუკმაპურის საშოვნელად წასულა. წასულა და აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე დღე იქნებოდა გასული, სოფელში ამბად თქვეს, კიდევ ერთი კაცი დაბრუნდაო ამერიკიდან . ამ ახალჩამოსულმა, ნახა თუ

არა, დაუბღვირა თურმე ცოლს, როგორ ვერ მიცანიო, მერე ისიც უთხრა, არა უშავს, ამდენი დროა გასული, გადაგავიწყდებოდი, აბა რა იქნებოდაო, თან ის კერძი მოუთხოვია, განშორების ჟამს რომ გამოუტანა ცოლმა. კარგა ხნის მკვდარი ძროხაც მოუკითხავს, ბავშვებსაც მამაშვილური სიყვარულით მოჰფერებია, თუმცა სხვა ჯიშისა იყვნენ და არც ძირი ედგათ მისი. იყო ასე განცხრომაში ცოლ-შვილთან ერთად. როცა საჭმელი შემოაკლდათ, ეს გლეხიც ადგა და წავიდა. აღარც ის დაჰბრუნებია ოჯახს. ერთი-ორჯერ კიდევ მომხდარა ასეთი ამბავი. ბოლოს მიმხვდარან, ვიღაცაა, გაიძვერა არის, სხვა გლეხებთან ერთად იქნება ნამყოფი და იმათი ოჯახების ამბავსაც კაკალ-კაკალ გამოიკითხავდაო. მოგვიანებით შეიტყვეს, დაუჭერიათ თურმე. მას მერე ეს გლეხი არსად გამოჩენილა. გაიძვერა კი დაუძახეს, მაგრამ მაინც დასწყდათ გული. ხოლო რაკი იმ კაცმა თავის დროზე ამდენი ტკბილი ამბავი გაახსენა, ალბათ მიტომ არ დაითხოვეს შინიდან. თან იმასაც შიშობდნენ, იქნებ მართლაც გვეუბნება და, რომ გავისტუმროთ, ვაითუ ქვეყნის სამასხრო შეიქნეთო. არა, ეჭვი თავიდანვე ეპარებოდათ, მაგრამ არც იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ გლეხისათვის ცხვირწინ მიეკეტათ კარი და გარეთ გაეგდოთ.

ასეთები იყვნენ ეს დიაცები. ყავისფერ შალის კაბებში დაალაჯებდნენ აღმა-დაღმა. კაბის კალთას მტკაველის სიგანეზე დააკერებდნენ წითელ, ლურჯ ან ფორთოხლისფერ არშიას. თავსაფარს ჯვარედინად გადაიჭერდნენ მკერდზე. ჩვეულებრივი, იაფფასიანი ჩითისა ჰქონდათ თავსაფრები. ვერაფრით ვერ იტყოდი, რა იყო მიზეზი, შეიძლება ფერები იყო ისე შერჩეული, მაგრამ შეხედავდი თუ არა თავსაფარს, უმალ დაატყობდი გარდასულ საუკუნეთა დაღს. ახალთახალიც რომ ყოფილიყო თავსაფარი, მაინც წინაპრებისდროინდელი გეგონებოდა. ალბათ თვითონ მზერა თუ ჰქონდათ ქალებს ასეთი: არაამდროული, თითქოსდა დრო-ჟამს გამოღწეული, მილეული. მაგრამ ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ ის მიმქრალი წარსული უცებ წარმოგედგინა. ფეხსაცმელი ისეთი ეცვათ, იფიქ-

რებდი, ნავებში წაუყვიათო ფეხები. ხის ქოშებს ხმარობდნენ და რაკი აქაური გზები უვარგისი იყო, ქუსლზე ორ ბრტყელ ნალსაც დააკრავდნენ ხოლმე. ცისფერ ან ყავისფერ წინდებს იცვამდნენ და იაპონელი ქალებივით დააბაკუნებდნენ ფეხებს. როცა ვინმეს უცდიდნენ, შუა გზაზე დასკუპდებოდნენ და, ზანგებისა არ იყოს, მუხლისთავებს ნიკაპთან ამოიტანდნენ. თუკი სახედარზე შეჯდომა მოუწევდათ, კაბას კი არ ამოიკეცავდნენ, კაცებმა რომ იციან, ისე გადააჯდებოდნენ და ხის ხმელ უნაგირს ტლანქ ბაყვებში მოიქცევდნენ. მუხლის თავებს აქაც უსაშველოდ მაღლა ამოზიდავდნენ და ტანს ნება-ნება მიარწევდნენ.

დაგაბნევდა იმათი დახვედრაც, ზრდილობაც. თუკი შინ მიადგებოდი ვინმეს და იმ გლეხურ კარზეც მიუკაკუნებდი, „მობრძანდითო“, ისე თავაზიანად გამოგძახებდნენ, მეფის ასულთ რომ ეკადრება. ანდა, ვთქვათ, ვინმეს გამოელაპარკე. დგახარ შენთვის, რაღაცას უყვები, ქალს კი უცებ შეიძლება რიდითა და კრძალვით ეთხოვა: „თუ ნებას დამრთავთ, თქვენს ლაბადას მე დავიკავებ“. ერთხელ ვიღაც თოთხმეტი წლის ლამაზ გოგოს უთხრა ჰომომ: „ზვინთან გამომყევიო“. ისე უთხრა, სხვათა შორის, რადგან გოგოს ზვინთან მიყვანა უცებ ისეთივე ჩვეულებრივ საქმედ ეჩვენა, როგორც ცხოველისათვის ქერის ან სიმინდის ჭამაა. ქორფა პირისახეზე წარბიც არ შეხრია გოგოს. თავზე ამასაც ამჟამინდელი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. ერთი კი დაიღუღუნა, სახეც გაუნათდა, პაწია ნავებში წადგმული ფეხები განზე გადგა და, ჰომოს გაოგნებული სახე რომ არა, იმ თავის მხარზე გადებულ ფოცხიანად დაებერტყებოდა მიწაზე. თეატრში გეგონებოდა თავი. ერთხელაც ვიღაც გლეხის ქალს ჰკითხა:

– რაო, არ მითხრა, ქალიშვილი ვარო, – და ამ ტანსრულ დიაცს, გერმანელი ქვრივის ქანდაკებას რომ ჰგავდა, ლოყაზე მოუთათუნა ხელი; ახლაც ისე, ხუმრობით უთხრა, ხელიც განგებ მოუთათუნა ლოყაზე, – კაცის ხუმრობა თუა, კაცის ხუმრობას უნდა ჰგავდეს! ჰომოს ხელი არ მოუცილებია, ისე უპასუხა გლეხის ქალმა:

– რა თქმა უნდა!

ლამის გაშრა, ისე დაიბნა ჰომო.

– ჯერაც ქალიშვილი ხარ?! – მოახერხა ეკითხა, მერე კი გაეცინა. მაშინ ქალმაც გადაიკისკისა.

– მითხარი! – ჩააცივდა ჰომო და ისევ მოუთათუნა ხელი. ქალმა ახლა პირდაპირ სახეში მიასუნთქა და სიცილით უთხრა:

– ვიყავი ერთ დროს.

– შენთან რომ მოვიდე, რით დამასაჩუქრებ? – ჰკითხა ისევ.

– რითაც ინებებთ.

– რასაც მოვინდომებ, ყველაფერს მომცემ?

– დიახ.

– მართლა ყველაფერს?

– ყველაფერს, ყველაფერს! – და ეს ისეთი გატაცებით გათამაშებული ვნება იყო, რომ ამ თეატრალურმა სცენამ, ზღვის დონიდან ათას ექვსასი მეტრის სიმაღლეზე, კაცი შეაცბუნა კიდეც. უცნაური აზრი აეკვიატა: ახალი ცხოვრება, ეშხიც გაცილებით მეტი რომ ჰქონდა და უწინდელთან შედარებით ნათელიც რომ ადგა, სინამდვილე კი არა, ჰაერში ლივლივივით თამაშს უნდა ჰგავდესო.

ამასობაში ზაფხული დადგა. როცა პირველი წერილი მიიღო და ავადმყოფი შვილის ხელი იცნო, იმ იდუმალი ბედნიერების გახსენებაზე ჟრუანტელმა დაუარა; რაკი მის ადგილსამყოფელს მიაგნეს, თითქოს გვერდშიც ამოუდგნენ. ხომ გაიგეს, სადაც იმყოფებოდა, – აწი აღარაფრის ახსნა არ დასჭირდებოდა: უცებ გაირკვა ყველაფერი და ჰომოც აღარ ჰგავდა მოჩვენებას. თეთრი, იისფერი, მწვანე და მოყავისფრო ჩანდა მთა-ბარი. ფიჭვნარი ნაზი სიმწვანით მოიბურა და სულჩადგმული ზღაპარივით იდგა ზურმუხტოვან ფერდობზე. ხავსი ეხურა ქუდად იისფერ და თეთრ კრისტალებს. შუა ტყეში, ქვასთან ისე იქოჩრებოდა ნაკადული, დიდ ვერცხლისფერ სავარცხელს მიამგვანებდი. ცოლის წერილებს აღარ პასუხობდა. ბუნების ათას საიდუმლოში ერთი ის საიდუმლოც უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანები მაინც ერთმანეთს ეკუთვნიან. ის ნაზი, ალისფერი ყვავილიც ხომ მარტო მისი იყო. ასე ინება განგებამ და ალბათ სასწა-

ულიც ამას ერქვა. ერთი ადგილი ტანზე დაფარული უნდა ჰქონოდა და, ვიდრე ცოცხალი იქნებოდა, ჰომოს მეტს არავის უნდა ენახა. უცებ ესეც ისეთივე მიმზიდველი და გამოუცნობი ეჩვენა, როგორც რელიგიის იდუმალი სიღრმენი. მხოლოდ ახლა მიხვდა ჰომო, რა ჩაიდინა, როცა მიატოვა ყველაფერი და საკუთარი ცხოვრების დინებას მიჰყვა. წვერულვაშაშლილ მწვანე ხეებთან მუხლი მოიყარა და ხელები აღაპყრო.

არასოდეს გაუკეთებია ეს. უცებ მოეჩვენა, თითქოს თავისივე თავი თვითონ მიართვა სხვას... ხელზე საყვარელი არსების სითბო იგრძნო, ხმაც გაიგონა მისი, თითქოს ვიღაც შეეხო მის სხეულს, შეეხო პირველად, თითქოს სხვისი ხორცი შეესხა. ხელი აიღო საკუთარ სიცოცხლეზე. გულიც დაუმონა თავის სატრფოს, ზღვად მოაწყდა ფიცი, ცრემლი. თუმცა ერთი კია, აწ არაფრით დაბრუნდებოდა უკან. ჰომოს აღელვებული სული აყვავებულ მდელოს ჰგავდა, თითქოს ანარეკლი იყო მისი. და თუმცა ჰომო ჯერაც ფიქრობდა მომავალზე, – გრძნობდა: აქ, ფრინტებისა და კესანეების ახლოს, ჯადვრებთან, ნაველა ყვავილებსა და მოყავისფრო-მწვანე მჟაუნებთან დალევდა სულს. ჰომო ხავსზე გაიშოტა. „ნეტავ შენც წამყვებოდე“, – ჩურჩულებდა თავისთვის და დამძიმებულ სხეულს ეს სიტყვები ისევე მიესალბუნა, როგორც ღიმილი – გაქვავებულ სახეს. აქამდე ფიქრობდა, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობო, და არც არაფერი იყო უჩვეულო, თუკი ათას სხეულში ერთი ერია ისეთიც, მისი არსება რომ ისევე მიენდობოდა, როგორც საკუთარს; ვის დარდსა თუ სევდას, შიმშილს თუ წყურვილს ვერ გამოარჩევდა საკუთარ დარდსა და სევდაში, შიმშილ-წყურვილში. როცა ბავშვი წამოიზარდა, ყველა ეს გრძნობა ისე შეერწყა მიწიურ დარდსა და სიხარულს, აი ხე რომ შეინოვს წიაღისეულ იდუმალებას. უყვარდა ბავშვი, მაგრამ გაჩნდა თუ არა, იმთავითვე ჩაუკლა მას ყოველი იმქვეყნიური ფიქრი. მორწმუნე ვარო, ვერ დაიჩემებდა, მაგრამ იმ წამს თითქოს სული გაუნათდა. გრძნობის ამ მირონში აზრები მხრჩოლავი სანთლებივით თუ ბჟუტავდნენ მხოლოდ. სიტყვები დაეპატრონა

ჰომოს, ახალგაზრდობიდან მოწვეული მშვენიერი სიტყვები – „მარადიული კავშირი“ და, როცა ამ სიტყვების აზრს დანებდა, შეყვარებულს ის პატარა ნაოჭებიც გაუქრა სახეზე, წლებმა რომ შეაპარეს. იდგა მარადიული დღე, დღე პირველი. გაქრა ყველა სხვა ფიქრი, შესაძლებელი ღალატი, გულის აცრუება, რადგან არავინ გაცვლის მარადისობას ათიოდ წუთის თავქარიანობაზე, და ჰომომ მხოლოდ ახლა შეიგრძნო ეჭვებს გაღწეული სიყვარული, შეიგრძნო ისე, ციურ წყალობას რომ შეიგრძნობს ადამიანი. განგების ხელიც ახლა დაატყო. მარტოობაც ამ განგებამ არგუნა. ეს აღარ ჰგავდა რაიმე მიწიერ განძს და ჰომოც ისე აღიქვამდა ამას, როგორც მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ჯადოსნურ სამყაროს, სადაც ოქროებსა და თვალ-მარგალიტზე მოურიდებლად დააბიჯებ.

ამ დღიდან მოყოლებული ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ძალზე მძიმე ზურგჩანთა ჩამოხსნეს, და ჰომო წელშიაც ხელად გაიმართა. უცებ ჩაუკვდა სიცოცხლის სურვილი, ტვირთივით რომ ზიდა წლების განმავლობაში. აღარც სიკვდილის შიში ჰქონდა. აქამდე ფიქრობდა, ერთ მშვენიერ დღეს, საღ-სალამათს, უცებ მენიშნება სიკვდილის მოახლოება და ცხოვრების ნექტარსაც ჟინიანად დავეწაფებიო. არა, მსგავსიც არაფერი მოსვლია, ეს კი იყო, თითქოს ხელ-ფეხი გაუხსნეს და ჰომომ იგრძნო ნეტარი სიმსუბუქე, საკუთარი არსებობის მეუფედ რომ აქცია იგი.

ქანი თურმე ისე ვერ გაებურღათ, როგორც საჭირო იყო, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ირგვლივ მაინც ოქროს მაძიებელთა ცხოვრება ჩქეფდა. ვიღაცამ ღვინო მოიპარა. ესე იგი, საერთო საქმეს ავნო და ბიჭის დასჯასაც ყველა მოიწონებდა. ისიც მოიყვანეს გათოკილი. მოცარტ ამადეო ჰოფინგოტმა განკარგულება გასცა – ბიჭი ხეზე გააკარით, სხვები ჭკუას ისწავლიანო. და როცა ასისთავმა თოკი ამოიტანა, ჯერ ცხვირწინ გაუტარ-გამოუტარა ხუმრობით, მერე კი თოკი იქვე ჩამოუკიდა, ყმაწვილი აცახცახდა, იფიქრა, ჩამოხრჩობას მიპირებენო. ქურდობას მაშინ იწყებდნენ, როცა ცხენები სურსათს ამოიტანდნენ ან ორიოდე დღით

ხელსაწყო-იარაღს ჩამოზიდავდნენ. ქურდობით კი ქურდობდნენ, მაგრამ ვინმეზე ეჭვის მიტანა მაინც ჭირდა. ცხენები მდელოზე შეჯგუფდებოდნენ ხოლმე, იდგნენ ან იქვე მიწვებოდნენ. მართალია, შექუჩებით კი შექუჩდებოდნენ, მაგრამ ასე იფიქრებდი, აქაურობას სილამაზის იდუმალი კანონი თუ მფარველობსო, თან ის მწვანე, ცისფერი და ვარდისფერი პატარა სახლებიც უმალ გაგახსენდებოდა, ზელვოტის კალთაზე რომ იყო შეფენილი. ზოგჯერ ცხენებს მაღლა ამოიყვანდნენ და რომელიმე წაქცეულ ხეზე მიაბამდნენ. სამი ან ოთხი ცხენი ება ერთად. თუკი ამით გაუდგებოდი გზას და ასე ხუთის ნახევრისათვის ამ ადგილს ჩაუვლიდი, ცხენები დინჯად გამოგაყოლებდნენ მზერას. ნარიჟრაჟევზე, როცა ყველაფერს ნათლად ხედავ და მაინც ყველაფერში ეჭვი გეპარება, შენს თავს უცებ ცხოველის ზანტ ფიქრებში გამორეულ მკვირცხლ აზრს შეადარებდი. რაკი რამდენიმე კაცს ქურდობაზე წაასწრეს, თან საეჭვო ამბავიც ბევრი მოხდა, ახლომახლო რაც ძაღლები იყო, ყველა იყიდეს. საგზაო ყარაული ჯგროდ ჩამოატარებდა ხოლმე ამ ძაღლებს. თითოეულს ორი ან სამი ძაღლი მოჰყავდა. სულ მალე იმდენი ძაღლი გაჩნდა, დათვლას ვერ აუვიდოდა კაცი. უნებლიეთ კითხვაც დაგებადებოდა, – რომელი არისო აქ მასპინძელი და რომელიაო სტუმარი. ჩვეულებრივ ქოფაკებში, პატარ ავი მაიმუნებივით რომ ვერ პოულობდნენ ადგილს, ჯიშიანი ძაღლებიც გამოერეოდა: მონადირე ან ვენეციური მეძებარი. ხროვა-ხროვად მოგროვდებოდნენ, გეგონებოდა ერთიმეორე საამხანაგოდ ამოირჩიესო, მაგრამ დროდადრო ერთმანეთსაც აფთრებივით ებდღვნებოდნენ. მეტი წილი მშიერი დაძუნძულებდა, ზოგი კი, საჭმელიც რომ მიგეცა, მაინც არ დააკარებდა პირს. ერთმა ფინიამ მზარეულს თითიც მოაკვნიტა. როცა იმან ხორცი და წვნიანი დაუდგა ჯამით. დილის ოთხის ნახევარზე უკვე ინათებდა, თუმცა მზე კიდევ კარგა ხანს არ ჩანდა. თუკი საძოვარს ჩაუვლიდი, ნახირსაც დაინახავდი. საქონელი იქვე თვლემდა, მდელოს პირზე. შემოიკვეცავდნენ ფეხს, მოიგდებდნენ გავას და უზარმაზარი ნაცრისფერი ქვები რომ გინახავთ დაყრილი,